

Vocabulary Denoting Kinship in the Fereydani Dialect  
ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა ფერეიდანულ  
დიალექტში

Giorgi Muliani

PhD student at Akaki Tsereteli State University

e-mail: [mulianisaid2@gmail.com](mailto:mulianisaid2@gmail.com)

ORCID: <https://orcid.org/0009-0004-8652-1006>

**Abstract:** The speech of the Georgians who emigrated to Iran in the 17th century in Fereydan province was formed into the Fereydani dialect. As a result of four centuries of non-contact with homeland Georgia and the strong influence of the Persian language and culture, the speech of the Georgians living in Fereydan underwent certain changes. Nevertheless, the Fereydani dialect, cut off from its native environment, still exists as a language island in Iran and is a remarkable example of linguistic self-immunization.

The Fereydani dialect attracts attention in many ways. In the presented article, we will discuss vocabulary denoting kinship.

The research is mainly based on the new dialectal material we recorded in the Georgian villages of Fereydan in Iran (Chughruti, Martghopi, Vashlovani, Akhcha, Toreli...), we also processed the published Fereydanian texts, explanatory and dialect dictionaries, scientific literature related to the issue.

According to the analyzed material, it can be said that the Georgian vocabulary denoting kinship is quite well preserved in Fereidani dialect. Some of the Georgian word forms (sidze/son-in-law, zali/daughter in law, mazli/brother-in-law, muli/sister-in-law, dedamtili/mother-in-law, mamamtili/father-in-law...) are still actively used today, while some are used in parallel with Persian (or Arabic, Turkish, introduced through Persian) lexical units (brother/dashya, sister/baji). In addition, some Georgian words (shvilishvili, shviltashvili, bitzola...) were replaced by corresponding foreign words (nava, natija, zanamua). In a bilingual environment, where Persian is the state language and functions in all spheres, and Georgian is the home language code for the Georgians, the process of restricting and harassing the Kartsia language facts is a natural and, unfortunately, irreversible process.

**Key words:** Georgian-Persian language relations; Fereydani dialect of the Georgian language; Georgian dialect vocabulary; vocabulary denoting kinship in Fereydani dialect.

**გიორგი მულიანი**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
დოქტორანტი,  
ელ-ფოსტა: [mulianisaid2@gmail.com](mailto:mulianisaid2@gmail.com)  
ORCID: <https://orcid.org/0009-0004-8652-1006>

**აბსტრაქტი:** ირანში, ფერეიდნის პროვინციაში XVII საუკუნეში გადასახლებულ ქართველთა მეტყველება ფერეიდნული დიალექტის სახით ჩამოყალიბდა. დედასაქართველოსთან ოთხსაუკუნოვანი უკონტაქტობისა და სპარსული ენისა და კულტურის ძლიერი გავლენის შედეგად ფერეიდანში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებამ გარკვეული ცვლილებები განიცადა. მიუხედავად ამისა, მშობლიურ გარემოს მოწყვეტილი ფერეიდნული დიალექტი ირანში კუნძულის სახით დღემდე არსებობს და ენობრივი თვითიმუნიზაციის საოცარ ნიმუშს წარმოადგენს.

ფერეიდნული დიალექტი მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას. წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელ ლექსიკას.

კვლევა ძირითადად ეყრდნობა ფერეიდნის ქართულ სოფლებში (ჩულრუთი, მარტყოფი, ვაშლოვანი, ახჩა, თორელი, ნაჯაჭაბადი...) ჩვენ მიერ ჩაწერილ ახალ დიალექტურ მასალას, ასევე დავამუშავეთ გამოქვეყნებული ფერეიდნული ტექსტები, განმარტებითი და დიალექტური ლექსიკონები, საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა.

განალიზებული მასალის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ფერეიდნულში საკმაოდ კარგადაა დაცული ნათესაობის აღმნიშვნელი ქართული ლექსიკა. ქართულ სიტყვაფორმათა ნაწილი (სიძე, ზალი, მაზლი, მული, დედამთილი, მამამთილი...) დღესაც აქტიურად გამოიყენება, ნაწილი კი სპარსული (ან სპარსულის გზით შემოსული არაბული, თურქული) ლექსიკური ერთეულების პარალელურად იხმარება (მმა/დაშია, და/ზაჯი). ამასთან, ზოგი ქართული სიტყვა (შვილიშვილი, შვილთაშვილი, ბიცოლა...) შესაბამისმა უცხოურმა მასალამ (ნავა, ნათიჯა, ზანამუა) ჩაანაცვლა. ბილინგვურ გარემოში, სადაც სპარსული სახელმწიფო ენაა და ყველა სფეროში ფუნქციონირებს, ხოლო ქართული ფერეიდნელ ქართველთათვის საშინაო სამეტყველო კოდს წარმოადგენს, ქართული ენობრივი ფაქტების შეზღუდვა-შევიწროების პროცესი ბუნებრივი და, სამწუხაროდ, შეუქცევადი პროცესია.

**საკვანძო სიტყვები:** ქართულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობები; ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი; ქართული დიალექტური ლექსიკა; ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა ფერეიდნულში.

\*\*\*

**შესავალი.** საქართველო თავისი ადგილმდებარეობიდან, ბუნებრივი და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე ყოველთვის წარმოადგენდა ცივილიზაციათა გზაჯვარედინს, დიდი იმპერიების შეხვედრისა და დაპირისპირების ადგილს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და ირანს შორის არ არსებობს უშუალო საზღვარი, ორივე ქვეყანა ისტორიულად მეზობლები იყვნენ, შესაბამისად, მათ შორის არსებობდა ინტენსიური ურთიერთობები.

ირანის პოლიტიკა საქართველოში უძველეს დროიდან ძირითადად ტერიტორიულ გაფართოებას, ოკუპაციას, მარცვას, მკვლელობასა და გადასახლებას ეფუძნებოდა. ქართველთა მასობრივი გადასახლება ირანში სეფიანთა დინასტიის ზეობის დროს მოხდა. ირანში ქართველები სხვადასხვა ადგილებში, უმეტესად ხორასანში, ფარსში, მაზანდარანსა და ხუზისტანში დაასახლეს. ყველა ზემოხსენებულ რაიონში ქართველებმა დაკარგეს თავიანთი ენა, რამაც გამოიწვია ეროვნული თვითშეგნების დაკარგვაც.

დარჩა მხოლოდ ფერეიდნის მხარე, სადაც მე-17 საუკუნეში კახეთიდან დიდი რაოდენობით ქართველი ჩაასახლეს.

ფერეიდანის მდებარეობს ირანის ცენტრალურ პროვინციაში – ისპაჰანში, ქალაქ ისპაჰანიდან დაშორებულია 200 კმ-ით. იგი არის მაღალმთიანი რაიონი, სადაც ქართველების გარდა ცხოვრობენ: სომხები, სპარსები, თურქები, ბახტიარები.

ფერეიდნის მხარე ერთადერთია დღევანდელ ირანში, სადაც შენახულია ქართული ენა, ქართული გვარები, დასახლებების ქართული სახელწოდებები და ადათ-წესები.

სპარსული წყაროებისა და ევროპელი მწერლების თხზულებების მიხედვით, ფერეიდნელმა ქართველებმა წინაპართა სარწმუნოება ფერეიდანში გადასახლების შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნეს, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო იძულებულნი გახდნენ მიეღოთ მაჰმადიანობა (მუნში, 1972: 960).

სარწმუნოებისგან განსხვავებით, ფერეიდნელებმა შეინარჩუნეს ქართული ენა. ირანის სხვადასხვა ადგილას მცხოვრები ქართველების ქართულად საუბრის შესახებ ცნობები მოიპოვება წყაროებში. ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, სომეხი მწერალი ფერეიდნელებთან შეხვედრის შემდეგ გაკვირვებით წერს: „უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა ამათ მტკიცეთ შეუნახავთ ქართული ენა და ხასიათები, ყველგან ესენი ქართველად იწოდებიან, ტანსაცმელსაც ქართულად იცმენ, მე ძალიან მიკვირს, რომ ასე დაშორებულს მხარეში, ამდენი ხნის განმავლობაში ქართველებს ქართული ენა არ დაუკარგიათ“ (ჭიჭინაძე, 1990: 83).

ბუნებრივია, მე-17 საუკუნიდან მოყოლებული ფერეიდანში ჩასახლებულ ქართველთა მეტყველებამ გარკვეული ცვლილება განიცადა სხვადასხვა მიზეზის გამო. მათ შორის უმთავრესია: ოთხსაუკონოვანი

უკონტაქტობა საქართველოსთან, სალიტერატურო ქართულთან და სპარსული ენისა და კულტურის ძლიერი გავლენა. ენობრივი ცვლილება განსაკუთრებით ლექსიკის სფეროს შეეხო. არაერთი ქართული ლექსიკური ერთეული დაიკარგა ან იშვიათად გამოიყენება.

მიუხედავად ამისა, მშობლიურ გარემოს მოწყვეტილ ფერეიდნელ ქართველთა მეტყველება – ფერეიდნული დიალექტი ირანში კუნძულის სახით დღემდე არსებობს და ენობრივი თვითიმუნიზაციის საოცარ ნიმუშს წარმოადგენს.

**წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა.** კვლევა ეყრდნობა ახალ დიალექტურ მასალას, რომელიც ჩვენ მიერ არის ჩაწერილი ფერეიდნის ქართულ სოფლებში (ჩულრუთი, მარტყოფი, ვაშლოვანი, დაშქესანა, ახჩა, თორელი...). ასევე, დავამუშავეთ ქართულ დიალექტურ კორპუსში (corpora.co) წარმოდგენილი ფერეიდნული ტექსტები. ფერეიდნული ტექსტები სხვადასხვა დროს ჩაიწერეს და გამოსცეს: მ. თოდუამ, მ. მაჭავარიანმა, დ. ჩხუბიანიშვილმა, თ. უთურგაიძემ, ჯ. გიუნაშვილმა, მ. ბერიძემ, ლ. ბაკურაძემ...

ფერეიდნული მეტყველების შესახებ არსებობს საინტერესო ისტორიული ცნობები, ენათმეცნიერული კვლევები. პირველი მეცნიერული კვლევა ფერეიდნული დიალექტის შესახებ არნოლდ ჩიქობავას ეკუთვნის. მეცნიერმა 1922 წელს საქართველოში ჩამოსული ფერეიდნელი ქართველისგან - სეიფოლაჰ ხან იოსელიანისგან ჩაიწერა ტექსტები, რომელზე დაყრდნობითაც გამოაქვეყნა ნაშრომები: ვინის რეფლექსები ფერეიდნულში (1923), -ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოლიკის ურთიერთობის თვალსაზრისით (1923-1924), ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი (1927). არნ. ჩიქობავა ფერეიდნული ქართულის შესახებ წერს: „უცხო ტომთა შორის მოქცეული, ქართული კილოებს მოწყვეტილი და მათთან ურთიერთობას მოკლებული, სამწერლობო ქართულის ზეგავლენიდან სრულიად განთავისუფლებული ფერეიდნული პრინციპულად უნიკუმს წარმოადგენს ქართულ კილოთა შორის“ (ჩიქობავა, 1927: 197).

გამოქვეყნებულია მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომები; დ. ჩხუბიანიშვილის სამეცნიერო წერილებში (2012) შესულია ავტორის კვლევები ფერეიდნული დიალექტის თავისებურებების შესახებ, ასევე, ფერეიდნული ტექსტები; 2020 წელს გამოიცა მ. ბერიძისა და ლ. ბაკურაძის მონოგრაფია „ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი“, რომელიც მრავალი ასპექტით არის მნიშვნელოვანი; წიგნში გაშუქებულია ფერეიდნული დიალექტის ენობრივი მახასიათებლები, წარმოდგენილია ფერეიდნული მეტყველების ნიმუშები.

ნათესაობასთან დაკავშირებული ლექსიკა ფერეიდნულში სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა. ვფიქრობთ, ჩვენი კვლევა

საინტერესოა დიალექტში არსებული ლექსიკური ფონდის შესწავლის კუთხით, ასევე ეთნოკულტურული თვალსაზრისით.

**მეთოდოლოგია.** საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევისას გამოვიყენეთ სხვადასხვა მეთოდი: ა) აღწერითი მეთოდი, რომლის საშუალებითაც აღვწერეთ და გარკვეული პრინციპით დავაჯგუფეთ ფერეიდნულ ქართველთა მეტყველებაში არსებული ნათესაობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულები, შესიტყვებები, ბ) შედარებითი მეთოდის გამოყენებით სხვადასხვა წყაროდან (ახალი დიალექტური მასალა, გამოქვეყნებულ ტექსტები, სამეცნიერო ნაშრომები) მოძიებული და სისტემატიზებული ფერეიდნული ლექსიკური ერთეულები შევუდარეთ ქართული ენის განმარტებით, ეტიმოლოგიურ და დიალექტურ ლექსიკონებს, ვაჩვენეთ ფერეიდნულის მიმართება ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებთან, გ) შეპირისპირებითი მეთოდის მიხედვით გამოვავლინეთ ფერეიდნულ ქართველთა მეტყველებაში სპარსული ან სპარსულის გზით შემოსული ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები, დავაზუსტეთ მათი ფორმოზომიერ-სემანტიკური ასპექტები, დ) ანალიზისა და სინთეზის მეთოდებით გავანალიზეთ ფერეიდნული დიალექტის ლექსიკური თავისებურებები, ბილინგვურ (ქართულ-სპარსულ) გარემოში ფერეიდნულში მიმდინარე ენობრივი (ლექსიკური) ცვლილებების ზოგადი ტენდენციები.

**მსჯელობა/შედეგები.** ფერეიდნული დიალექტი მრავალმხრივ იქცევა ყურადღებას. სტატიაში განვიხილავთ ნათესაური ურთიერთობის გამომხატველ სიტყვებს, რომლებიც ენის/დიალექტის ლექსიკური ფონდის ერთ-ერთ აქტიურ ნაწილს წარმოადგენს.

ნებისმიერი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესასწავლად მნიშვნელოვანია ნათესაობის სისტემის ანალიზი. ნათესაობის სისტემის რაობის შესახებ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ნათესაობის ტერმინი არის სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომლებიც აღნიშნავენ ნათესაურ ურთიერთობას და ამ ურთიერთობის წინამორბედ, ან ერთდროულად წინამორბედ და მომდევნო წევრებს (სოსელია, 1979: 61). ნათესაურ ტერმინებს ახასიათებს გარკვეული თავისებურება.

ნათესაობის ტერმინები იყოფა **აღნიშვნისა** და **მიმართვის** ტერმინებად. პირველი რიგის ტერმინოლოგია გამოიყენება ნათესავის აღსანიშნავად, მეორე რიგისა კი – ამ ნათესავისადმი მიმართვისას.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ნათესაობის ტერმინი „ესაა სიტყვა, ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც გამოხატავს ერთ ან რამდენიმე ნათესაურ ურთიერთობას, გამოიყენება აღნიშვნისას ან მიმართვისას და მორფოლოგიური თვალსაზრისით არის მარტივი (ელემენტარული), შედგენილი ან აღწერილობითი“ (გოგინაშვილი, 1991: 4).

განასხვავებენ ნათესაობის ორ ძირითად კატეგორიას: 1. **სისხლით ნათესაობა** და 2. **მოკეთეობრივი (სოციალური) ნათესაობა**. გარდა ამისა, გამოიყოფა ისეთი ნათესაობაც, რომელიც არცერთ ხსენებულ კატეგორიას არ მიეკუთვნება. ზოგი მეცნიერი მას **ხელოვნურ ნათესაობას** უწოდებს (იქვე: 6).

განვიხილოთ ცალ-ცალკე ფერეიდნელ ქართველთა მეტყველებაში გამოყენებული ნათესაობის გამომხატველი სხვადასხვა სახის ლექსიკა.

### **I. სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინები ფერეიდნულში**

ფერეიდნულში საერთო ეთნიკური და გვაროვნული წარმომავლობის აღსანიშნავად გამოიყენება სხვადასხვა ტერმინი; აქტიურია ქართული ტერმინები: **ჩონებური** (<ჩვენებური); **ძოლი** (<ძვალი „სისხლით ნათესავი“; **ოჯახი, სახლი; პაპანი** („დედულეთი“); **დიდი, დიდები** („წინაპარი“); **ნათესავი, გვარი** (ახალი შემოსულია ფერეიდნულში). პარალელურად იხმარება არაქართული წარმომავლობის სიტყვებიც, როგორცაა: **ხიში** خويش, **ხიშოყომი** قوم و خويش (სპარს. „ნათესავი“); **ჰამჯენსი** هم جنس , **ჰამნეადი** همزاد (სპარს. „ერთი ჯიშის“), **ჰამილი** حاملي („გვარი“).

დასახელებული ტერმინებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სომატური სახელი **ძოლი** (<ძვალი). სოფლიველ (მარტყოფელი) ნაჯაძყულანი ჩონ **ძოლები** არიან (ჩულრუთი).

ხშირად გამოიყენება საქართველოდან ფერეიდანში ჩამოსული ქართველების მიმართ: ქენ ჩონ **ძოლები** ხართ (ჩულრუთი).

**ძვალი** ნათესაობის აღსანიშნავად გვხვდება ძველ ქართულში **ხორც** სიტყვასთან ერთად (ძვალი და ხორცი = სისხლი და ხორცი): „**ძუალთა** ჩემთაგანი და **ჭლრცთა** ჩემთაგანი ხარ მენ“ O, დაბ. 29,14 (აბულაძე, 1973).

**ძვალი** (**გვართან** კომპოზიციაში) ნათესაობის სემანტიკით დასტურდება ხევსურულ დიალექტში: **ძვალ-გვარი** – შთამომავლობა, მოდგმა; **გვარ-ძვალი** – გვარი, გვარის წარსული (ჭინჭარაული, 2005).

შდრ. ქეგლ: **ძვალ-გვარი** – კუთხ. (ხევს.) ბუნებრივი გზით განვითარებული (უცხოთა შეურეველი) გვარი (<https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>).

**ძვალი** გვხვდება სხვა სომატურ სახელებთან კომბინაციაში: **ძვალ-რბილი,** **ძვალ-სისხლი,** **ძვალ-სახსარი** (<https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>).

ძვალი, როგორც სხეულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი და საყრდენის, ბურჯის სიმბოლო – ფერეიდნულში განზოგადდა და სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში ნათესაობის სემანტიკით ცნობილია სხვადასხვა სომატური ლექსემები (გული, ღვიძლი, სისხლი, ხორცი, თესლი...).

სისხლით ნათესაობის გამომხატველი ტერმინები განსხვავებულია თაობების მიხედვით. გამოიყოფა მეორე, პირველი და ნულოვანი თაობის

აღმნიშვნელი ტერმინები. განირჩევა აგრეთვე აღმავალი და დაღმავალი ნათესაობა.

## 1. აღმავალი ნათესაობა

### ა) მეორე თაობის აღმნიშვნელი ტერმინები

**პაპის/ბაბუს** შესატყვისად ფერეიდნულში გამოიყენება **დიდალა**. შედგება ორი კომპონენტისგან: პირველი ნაწილი – **დიდ** ქართულია, მეორე კი – **ალა** (آلا) მონღოლურ-თურქული წარმომავლობისაა, რომელიც გავრცელებულია სპარსულში. „ალა“ მამაკაცთა სახელებს წინ ან ბოლოს ერთვის პატივისცემის ნიშნად და იხმარება შემდეგი მნიშვნელობებით: „უფროსი, დიდი, ბატონი, პატრონი, მამა“. ტერმინი მორფოლოგიურად აღწერილობითია; **დიდალა** სიტყვასიტყვით აღნიშნავს „დიდ მამას“. აღნიშვნისა და მიმართვის ფორმა ერთია.

ჩემ ალა ბაიტა რო ყოფილა, ჩემ **დიდალა** გასულა და დაკარგულა; სოფელჩი რო ვიყავ, ჩემ **დიდალას** პირიტყს ვამოებდი (ჩულრუთი).

ფერეიდნულში გვხვდება **პაპანი** (პაპა სიტყვის ნარიანი მრავლობითის ფორმა), რომლის მნიშვნელობაც სახეცვლილია: აღნიშნავს მხოლოდ დედის მხრიდან ნათესავეებს, დედულეთს.

**ბებიას** ფერეიდნულში შეესაბამება **დიდედა**. ტერმინი ქართულია და მიღებულია **დიდი** და **დედა** სიტყვების კომბინაციით. ფონეტიკური ცვლილების შედეგად **დიდი დედა** > **დიდედა**. მიმართვის შემთხვევაშიც იგივე ფორმა – **დიდედა** გამოიყენება.

ბაიტა რო ვიყავ, **დიდედამ** მატყლის საბუჯარი და წინდა შამიქნისყე, რო ზამთარჩი ჯელ-ფეკი არ დამძრეს (მარტყოფი); ჩემ **დიდედას** თავის ყმაწილები მარტო გოზრდია (ჩულრუთი).

„ბებიას“ სემანტიკით დასტურდება აგრეთვე ქართული სიტყვაფორმა **დიდიდა**.

შდრ. **დიდია / დიდია** (მესხ.) – დიდედა, ბებია (ღლონტი, 1984).

### ბ) პირველი თაობის აღმნიშვნელი ტერმინები

**მამა** ფერეიდნულ დიალექტში გავრცელებული სიტყვაა. ამასთანავე, მამის მნიშვნელობით სპარსული ენის გავლენით მკვიდრდება უცხოური ტერმინები: **ბაბა** (სპარს. بابا /baba), **ალა** (მონღოლურ-თურქული), **ადა** (თურქული).

შეიძლება ითქვას, რომ ფერეიდნულში **ბაბა**-ს გავრცელება ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მოხდა. **ბაბა** სალიტერატურო სპარსულსა და დიალექტებში მიმართვის დროს იხმარება და მოფერებით ნიუანსს ატარებს. ეს სიტყვაფორმა ბევრ ენაში არსებობს (კიკვიძე, 1991: 19). **ალა** ნიშნავს „დიდს, უფროსს“ და გამოიყენება პატივისცემის გამოხატვისას. ერთნაირად გამოიყენება როგორც აღნიშვნისას, ისე მიმართვისას.

მომუდარ ბიჭი **მამას** არ დოუყურებს (მარტყოფი); ჩემ **ადა** ცხონდა, ანს ძრიალ ბევრს მუშაობდა (ვაშლოვანი).

შდრ. **ბაბა** (იმერხ. აჭარ., გურ...) – მამა (ღლონტი, 1984).

**ადა** გავრცელებულია დაშქესანასა და თორელში. სადაც ძლიერია თურქული ენის გავლენა. სიტყვა მომდინარეობს თურქული სიტყვიდან ata „მამა, პაპა, წინაპარი“. ჩემ **ადა** მაშინს უწყებოდა და ცხო მაშინმა ძკრა და მოკლა (დაშქესანა).

**დედა** უძველესი დროიდან ერთდროულად დედისა და მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვა იყო. ფერეიდნულში ძირითადად აღნიშვნისას იხმარება.

ჩემ **დედამ** ცომი მოზილისყე და თორნეჩი პური დაკრისყე (ვაშლოვანი).

**დედა** ხშირად გვხვდება წყევლა-ლანძღვის გამომხატველ გამოთქმებში: **დედა** კი მოგიკდეს (ჩულრუთი); შე უდედმამო! (მარტყოფი).

ხატოვან გამოთქმებში: თავის **დედას** ძუძუს მაძჭრის; მუტრუკი რო **დედასაყე** დაწინავრდა, გელი გაახევეს.

ფერეიდნულში, განსაკუთრებით ახალი თაობის მეტყველებაში, მიმართვისას ხშირად გვხვდება **მამან** (مامان), რომელიც სპარსული წარმოშობისაა. ტერმინი მიმართვის დროს იხმარება და მოფერებით ნიუანსს ატარებს დღევანდელ ირანში. მისი აქტიურად გამოყენება შესამჩნევია ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. „დედას“ მნიშვნელობით იშვიათად დასტურდება აგრეთვე სპარსული ტერმინი **ნანა** (نان).

**ბიძა** – 1. დედის ან მამის ძმა, 2. მიმართვა მამის ხნის უცხო კაცისადმი (ქეგლ). **ბიძა** ფერეიდნულში იშვიათად გამოიყენება. აქ „დედის ძმა“ და „მამის ძმა“ სხვადასხვა ტერმინებით გადმოიცემა. „დედის ძმის“ აღსანიშნავად გვხვდება ორი სიტყვაფორმა: **აღადია** და **დადა** (სპარს. dayi „დედის ძმა, ბიძა“). **აღადია** კომპოზიტიური აგებულებისაა: **აღა** + **დია**. პირველი ნაწილი მონღოლურ-თურქულია (آغا) და გამოიყენება პატივისცემის გამოხატვისას, ხოლო მეორე – სპარსული, რომელიც „დედის ძმას“ აღნიშნავს. სპარსული ტერმინია **დადა** (دای) „დედის ძმა“.

ჩემ დედაკაცი ჩემ **აღადიას** ყორია; მოლიანნი ჩონ **დადანი** არიან. შდრ. **ტაია** (აჭარ.) – ბიძა, დედის ძმა (ღლონტი, 1984), **ტაია-ი** (ფუტკარაძე, 1993).

„მამის ძმას“ აღნიშნავს ტერმინი: **ამუა** (امو) / **ამი** (امع), რომელიც სპარსულში არაბულიდან არის შემოსული.

ერთ **ამუა** მყვანდა, ოქროს დაიძახოდეს (ახჩა); ჩემ **ამიამ** თონდეჩი კოჭობა ჩადგისყე (ახჩა).

შდრ. ტაოური, იმერხ. **ემიანი/ემიო/ემიჯაი** (emmi დიალ. ბიძა) – მამის ძმა, ბიძა (ფუტკარაძე, 1993).

პირველი აღმავალი თაობის სხვა ტერმინებია: **დედია** / **დედიდა**, **ამა**.

„დედის დის“ სემანტიკით გავრცელებულია **დედია** / **დედიდა** ფორმები. **დედიდა** შედგება ორი ნაწილისაგან: **დედის(ს)** + **და**. პირველი კომპონენტის ბოლოკიდურად ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული **ს**



თანხმოვანი დაკარგულია. **დედია** მიღებულია **დედიდა** სიტყვის შემდგომი ფონეტიკური ცვლილებით (**დ** თანხმოვნის დაკარგვით): **დედის და > დედიდა > დედია**.

**დედას** მოუგია და **დედია** დასუსტებულა (ჩულრუთი).

შდრ. ქართ.: **დედის და > დეიდა** (იკარგება **დედ-** ძირისეული **დ** თანხმოვანი და ნათესაობითი. ბრუნვის ნიშნისეული **ს** თანხმოვანი).

**დედიდა** – დედის და (ორბელიანი, 1991).

„მამის დას“ ფერეიდნულში გამოხატავს სპარსულში არაბულიდან შემოსული ტერმინი **ამა**. ქორწილში ჩემ **დედია და** **ამა** ძრიალ შუმპრობდეს (ჩულრუთი).

### გ) ნულოვანი თაობის აღმნიშვნელი ტერმინები

ნულოვანი თაობის ტერმინებიდან ფერეიდნულში უცვლელადაა შემონახული ქართული ლექსიკური ერთეულები: **და**, **ძმა**, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება აღწერისას. მიმართვისას კი მათ სხვა სიტყვები ენაცვლება. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს ადრესატის ასაკს. მაგალითად, უფროსი დის მიმართ იხმარება თურქულიდან შემოსული ტერმინი **ბაჯი** (თურქ. **باجی** baji), ხოლო უფროს ძმას მიმართავენ სპარსული სიტყვებით **ქაქა** (كك) და **დაში** (دش) < დადაში „უფროსი ძმა“. თანატოლები ერთმანეთს, ჩვეულებრივ, სახელით მიმართავენ.

ჩონ ცხრა **და-ძმანი** ვართ; ექსი **ძმანი** ვართ და სამიც **და** ყოვ; **დაშია** ათ წელი ჩემყე დიდია; **ქაქამ** ერთ ჳელ ბევრი მცა (ჩულრუთი).

შდრ. ჩვენებურების მეტყველებაში დასტურდება **ბაჯიაი / ბაჯოი** – უფროსი და (საერთოდ, უფროსი ქალისადმი მიმართვის ფორმა პატივისცემის გამოსახატავად) (ფუტკარაძე, 1993).

## 2. დაღმავალი ნათესაობის ტერმინები

ა) **პირველი თაობის დაღმავალი** ნათესაობის ტერმინებიდან ფერეიდნულში საინტერესოა „შვილის“ შესატყვისი სიტყვა **ყმაწილი** (< ყმაწვილი).

**ყმაწილები** აკვანჩი ჩავაწვინითყე და კალოზე გადდითყე (ჩულრუთი); მე რუა **ყმაწილი** მყავ, ხუთი ბიჭი და სამი ყორი (ვაშლოვანი).

შდრ. ქართ. **ყმაწვილი** – 1. იგივეა, რაც ბავშვი, 2. ახალგაზრდა, მოწიფული (ვაჟი ან ქალი, 3. ახალგაზრდა ვაჟი, – ჭაბუკი (ქეგლ <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>).

ფერეიდნულ ქართველთა მეხსიერებაში სიტყვა **შვილი** ჯერ კიდევ ცოცხალია, მისი მნიშვნელობა იციან, თუმცა მას მეტყველებაში აქტიურად აღარ იყენებენ.

„**ვაჟიშვილის**“ აღსანიშნავად **ბიჭი**, ხოლო „ქალიშვილის“ მნიშვნელობით გავრცელებულია **ყორი**.

**ბიჭები** დამიქორწილებია და **ყორები** გამითხოვებია (ვაშლოვანი); **ყორო**, შენ გებნები, ძალო, შენ გადგე (მარტყოფი).

**ყორი** ქართული წარმომავლობის სიტყვა ჩანს. მასთან ფორმოზრივ და სემანტიკურ სიახლოვეს გვიჩვენებს მეგრული **ქორი** „ნეზვი, მდედრი“ (ქობალია, 2010).

საინტერესოა კომპოზიტური სიტყვაფორმები: **გერბიჭი** და **გერყორი**. თუ კაცი ან ქალი მეორედ დაქორწინდა, ერთის შვილები წინა ქორწინებიდან მეორისთვის გერბიჭი ან გერყორი იქნება.

**ბ) მეორე თაობის დაღმავალი** ნათესაობის ტერმინია **ნავა** نوا, რომელიც სპარსული სიტყვაა და „შვილიშვილს“ აღნიშნავს. „შვილთაშვილის“ აღსანიშნავად ასევე სპარსული ტერმინი **ნათიჯა** ناتیجا გამოიყენება.

შვილიშვილს, შვილთაშვილს, ჩვეულებრივ, სახელით მიმართავენ.

ფერეიდნელ ქართველთა მეტყველებაში „შთამომავლობის“ მნიშვნელობით გამოიყენება **გასადევარი**. ეს იუსელიანები ყასიანთ **გასადევარნი** არიან (ჩულრუთი).

ტერმინი დასტურდება ქდკ-ში განთავსებულ ფერეიდნულ ტექსტებში: ქუჩიანი, თუხანი, თუხანი მე მგონია, რო ჯუგაშვილის **გასადევარი** იყენ; აღაქუჩიქიანთ დაამახიანყე და აღაქუჩიქიანი ურუჯყურბეგის **გასადევარნია** (<http://www.corpora.co/#/corpus>).

**გასადევარი** ქართული სიტყვაა ძირით და გაფორმებით. **დევ-** ძირს ძველსა და თანამედროვე ქართულში ძირითადად ერთი მნიშვნელობა აქვს:

**დევა / დევნება** – გადევნება, მიდევნება (ი.ა.); **დევნა** – „წარქცევა“, მიდევნა, მიყოლა, შედგომა, „მიდევარ-ყოფნა“, „დევნის-ყოფა“. **დევნულება** (ი.ა.)

(<http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=44&t=6989>).

**ს-დევ-ს** – 1. უკან მიჰყვება დასაწევად - მისდევს, დასდევს, 2. დაჰყვება, დასდევს, (სულ) თან ახლავს (<https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>).

**გასადევარი** ქეგლ-ში განმარტებულია როგორც: 1. ბალახიანი ადგილი, სადაც საქონელს გადენიან, - სამოვრები, 2. რაც რაიმეს გასწვრივ მდებარეობს, - გაყოლება. (<https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>).

**გასადევარი** გვხვდება ქართული ენის კილოებშიც (ხევსურული, თუშური, ფშაური) და აღნიშნავს: საქონელს, ცხვარ-ძროხას, სამწყემსოს; საქონლის სამოვარ ადგილს (<https://www.ice.ge/liv/liv/xevs.php>; <https://www.ice.ge/liv/liv/tushur.php>; <https://www.ice.ge/liv/liv/fshauri.php>).

**დევ-** ძირის შემცველი სიტყვაფორმების ამოსავალი მნიშვნელობა არის: გადევნება, გაყოლა, გაგრძელება... ფერეიდნულში მოხდა სიტყვის სემანტიკური გადაწევა; **დევ-** ძირი გამოყენებულ იქნა „შთამომავლობის“, როგორც გვარის მიმდევარის, გამყოლის, გამგრძელებლის, აღმნიშვნელი სიტყვის საწარმოებლად. **გასადევარი სა-** – -არ კონფიქსით გაფორმებულ მიმდებარე ფორმას წარმოადგენს.

**გ) ნულოვანი თაობის ტერმინები** – **ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი** ფერეიდნულშიც აღწერთია: „ბიძის“, „დეიდისა“ და

„მამიდის“ აღმნიშვნელ ტერმინთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმას ემატება „ბიჭი“ და „ყორი“. მაგალითად: **დედიდას ბიჭი** („დეიდაშვილი ბიჭი“), **დედიას ყორი** („დეიდაშვილი გოგონა“), **ალადიას ბიჭი** („ბიძაშვილი ბიჭი“), **ალადიას ყორი** („ბიძაშვილი გოგონა“), **ამუას ბიჭი** („მამიდაშვილი ბიჭი“), **ამუას ყორი** („მამიდაშვილი გოგონა“). მიმართვის ფორმები განსხვავებულია ასაკისა და სქესის მიხედვით. თუ ადრესატი მამრობითი სქესის უფროსი დეიდაშვილი, მამიდაშვილი ან დეიდაშვილია, მიმართვისას მის სახელს პატივისცემის ნიშნად დაურთავენ **დაშ**-ს, ხოლო თუ ადრესატი ქალბატონია, მას **ბაჯი** სიტყვით მიმართავენ. უფროსები უმცროსებს საკუთარი სახელით მიმართავენ.

## II. მოკეთეობრივი (სოციალური) ნათესაობის გამომხატველი ტერმინები

### 1. აღმავალი თაობის აღმნიშვნელი ლექსიკა

ა) ფერეიდნულმა დიალექტმა დღემდე უცვლელად შემოინახა **მეორე აღმავალი თაობის** მოკეთეობის აღმნიშვნელი ტერმინები: **მამამთილი**, **დედამთილი**, **სიმამრი** და **სიდედრი**.

ქორწილში ახანძალს რო მაყვანენ, დედამთილმა უნდა გეგებოს (მარტყოფი); ემ გოლს დედამთილის ენა ქიან. ჩონ დროს ერთ რასმი იყო, რო დამძრახებას დაძაოდეს, ახანძალმა როსაც დედამთილი და მამამთილი იყნეს, არ უნდოდა იბნას; ჩემ სიდედრი და სიმამრი ძრიალ ნამაჲ ხალლი არიან (ჩუღრუთი).

დედამთილს და მამამთილს ნათესაური კავშირის ან ქმრის მიმართვის მიხედვით მიმართავენ. სიმამრს და სიდედრს ასევე ნათესაური კავშირის მიხედვით ან **ამუ**, **ალადი** სიტყვებით მიმართავენ.

**დედინაცვალი** და **მამინაცვალი** ფერეიდნულში არ არის შემორჩენილი. „დედინაცვლის“ მნიშვნელობით გამოიყენება სპარსული ლექსიკური ერთეული **ზანაღა** (آغا زن). კომპოზიტური აგებულებისაა: **ზან** (زن) ნიშნავს „ქალს/ცოლს“, **აღა** (آغا) კი – „კაცს/მამას“. ნასესხები სიტყვაფორმების პარალელურად გვხვდება ქართული ტერმინები: **გერდედა** „დედინაცვალი“ და **გერმამა** „მამინაცვალი“, რომელთა სტრუქტურაც შედგენილია: **გერ + დედა / მამა**.

ბ) **პირველი აღმავალი თაობის** მოკეთეები – **დეიდისა** და **მამიდის ქმარი** ფერეიდნულში სპეციალური ტერმინით არ აღინიშნება. მიმართვისას გამოიყენება **ამუ** ან **ალადი**. ზოგჯერ ადრესატის საკუთარ სახელს წინ **დაშ**-ს უმატებენ. მაგალითად: **დაშ-ჰამიდ...** **დაშ** (داش) სპარსული სიტყვაა, წარმოადგენს **დადაში** آداسიტყვაფორმის შემოკლებულ ვარიანტს და პატივისცემი პირისადმი მიმართვისას გამოიყენება.

„ბიცოლას“ აღსანიშნავად გამოიყენება სპარსული ტერმინები: **ზანამუ** (زن عمو), **მამუა** „მამის ძმის ცოლი“, **ზანდაი** (زن آبا), „დედის ძმის ცოლი“.

ტერმინები შედგება **ზან** („ცოლი/ქალი“) + **ამუ/დაი** („ბიძა“) კომპონენტებისაგან.

ჩემ **ზანამუა** ჩემ დედაც არი (ჩულრუთი); ჩონ ექ **ზანამუას მამუას** ვეტყით (თორელი).

**გ) ნულოვანი თაობის** მეუღლეობის აღმნიშვნელი ტერმინებიდან უცვლელადაა შემონახული ქართული სიტყვა **ქმარი**, ამავე მნიშვნელობით დასტურდება ასევე **კაცი**. „ცოლის“ აღსანიშნავად გამოიყენება ქართული სიტყვაფორმა **დედაკაცი** (**ცოლი** სიტყვა ფერეიდნულში არ გვხვდება). **დედაკაცი** „ცოლი“, **კაცი** „ქმარი“ ქართულში გავრცელებული სიტყვებია.

ჩემ **ქმარს** აზიზილა ჰქიან (ჩულრუთი); **დედაკაცი** რო მოყვანე, ბაბუა ვიყავ; **დედაკაცს** ვებნები, რო ზალმა გადგოსო (ვაშლოვანი).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფერეიდნულში **ქალი**, როგორც მდებრობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვა, აღარ გამოიყენება, თუმცა ეს ტერმინი ერთმა ისტორიულმა მოვლენამ და მასთან დაკავშირებულმა ადგილის (გამოქვაბულის) სახელმა შემოინახა. „ავღანელებმა რო მოდდეს სოფელჩი, კაცებმა დედაკაცები **ქალების ქობჩი** (გამოქვაბულში) წაყვანეს“ (ჩულრუთი).

## 2. დაღმავალი თაობის ლექსიკა

**ა) პირველი დაღმავალი** თაობის ტერმინები – **სიძე**, **(რ)ძალი** ფერეიდნულში აქტიურად გამოიყენება: ჩემ **სიძე** ჩემ ძმას ბიჭია, ჩულრუთს ჩონ სახლჩი ცოცხლობს.

**რძალი** გვხვდება ფონეტიკური ვარიანტებით: **ძალი/ზალი**:

სამი **ზალი** მყავ, სამივე ჩემ გულჩი არიან (ჩულრუთი).

**ზალი** ფერეიდნულში, ჩვეულებრივ, აღნიშნავს „ვაჟიშვილის მეუღლეს“ და „ქმრის ძმის ცოლს“. „ძმის ცოლის“ მნიშვნელობით იხმარება სპარსული ტერმინი **ზანდაში** (زن داسی)

აქტიურია ქართული სიტყვაფორმები: **ნეფე** („სიძე“), **ახანძალი** (<ახალი რძალი „პატარძალი“).

**ნეფემ ახანძალს** თავზე ფული გადაყარისყე (ჩულრუთი).

საინტერესოა **მეუღლეების ნათესავების** გამომხატველი ლექსიკა. ქმრის ნათესავებს გამოხატავს ქართული ტერმინები: **მული** („ქმრის და“) და **მაზლი** („ქმრის ძმა“).

მე სამი **მული** და ოთხი **მაზლი** მყავ (ვაშლოვანი).

ცოლის ნათესავების აღსანიშნავად გამოიყენება: **ყავმი** „ცოლისძმა“, რომელიც არაბულიდან არის სპარსულში შემოსული და „ახლობელს“ აღნიშნავს.

„ცოლისდის“ სემანტიკას გადმოსცემს სპარსულიდან შემოსული თურქული ტერმინი **ბაჯანალი** (باجناق/bacanak). ფერეიდნულში ნასესხები სიტყვის სემანტიკა შეცვლილია. შდრ. სპარსულში **ბაჯანალი** – „ცოლის დის ქმარი“.

მდრ. **ბაჯანალი** (მესხ., აჭარ., ჩვენებ. მეტყვ.) – ქვისლი (ღლონტი, 1984; ფუტკარაძე, 1993);

ფერეიდნულში გვხვდება ქართული სიტყვა **ქვისლი** ფონეტიკური სახესხვაობით – **ქუსლი**: მე **ქუსლი** არა მყავ, ჩემ დედაკაცი მარტუკა ყორია (მარტყოფი).

**ქუსლის** პარალელურად იხმარება სპარსული ტერმინი **ჰამრიშ** (همريش).

საინტერესოა ქართული ტერმინი **ფეჯი**, რომელიც ფერეიდნულ დიალექტში სრულიად განსხვავებული სემანტიკით, კერძოდ, „მეორე ცოლის“ აღსანიშნავად გამოიყენება.

მე ყმაწილი არ მყვანდა და ჩემ ქმარმა ფეჯდ მამიყვანა (ჩულრუთი).

სარწმუნოების მიხედვით, ირანში მრავალცოლიანობა დაშვებულია, თუმცა მსგავსი ფაქტები დღესდღეობით ძალიან იშვიათად დასტურდება.

კახურში (ქიზიყურში) ანალოგიური მნიშვნელობით დასტურდება **ფეჯი** – ქმრის წინანდელი ცოლი მეორე ცოლისათვის და ცოლის წინანდელი ქმარი მეორე ქმრისათვის (ს.მენტეშ.) (ღლონტი, 1984).

**დასკვნა.** გაანალიზებული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ფერეიდნულში, ქართული ენობრივი სამყაროსგან ოთხსაუკუნოვანი იზოლირებისა და სპარსული ენის ძლიერი გავლენის პირობებში, საკმაოდ კარგადაა დაცული ნათესაური ურთიერთობის ამსახველი ქართული ლექსიკა. ქართულ სიტყვაფორმათა ნაწილი (სიძე, ზალი, მაზლი, მული, დედამთილი, მამამთილი...) დღემდე აქტიურად გამოიყენება, ნაწილი კი სპარსული (ან სპარსულის გზით შემოსული არაბული, თურქული) ლექსიკური ერთეულების პარალელურად იხმარება (ძმა/დაშია, და/ბაჯი). გვხვდება დიალექტისთვის სპეციფიკური ტერმინებიც (ძოლი, გასადევარი, ყორი, გერბიჭი, გერყორი, ფეჯი). ამასთან, ზოგი ქართული სიტყვა (შვილიშვილი, შვილთაშვილი, ბიცოლა...) შესაბამისმა უცხოურმა მასალამ (ნავა, ნათიჯა, ზანამუა...) სრულად ჩაანაცვლა. ბილინგვურ გარემოში, სადაც სპარსული სახელმწიფო ენაა და ყველა სფეროში ფუნქციონირებს, ხოლო ქართული ენა ფერეიდნულ ქართველთათვის საშინაო სამეტყველო კოდს წარმოადგენს, ქართული ენობრივი ფაქტების შეზღუდვა-შევიწროების პროცესი ბუნებრივია, რაც საფრთხეს უქმნის დიალექტის თვითმყოფადობას.

#### **გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:**

**აბულაძე, 1973:** – აბულაძე ილია, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1973.

**ბერიძე... 2020:** – ბერიძე მარინა, ბაკურაძე ლია, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2020.

**გოგინაშვილი, 1991:** – გოგინაშვილი იოსებ, ნათესაობის სისტემა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, გამომც. „მეცნიერება“, 1991.

**კიკვიძე, 1991:** – კიკვიძე ქეთევან, ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ტერმინები სპარსულ ენაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 1991.

<https://digitallibrary.tsu.ge/book/2023/June/Dissertations/kikvidze-natesauri-disertacia.pdf>

**ორბელიანი, 1991:** – ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, გამომც. „მერანი“, თბილისი, 1991.

**სოსელია, 1979:** – სოსელია ეთერ, ნათესაობის ტერმინთა ანალიზი, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1979.

**უთურგაიძე..., 1985:** – უთურგაიძე თედო, ჩხუბიანიშვილი დარეჯან, გიუნაშვილი ჯემშიდ, ფერეიდნული ტექსტები, იკე, ტ. XXIII, თსუ-ს გამომც., თბილისი, 1985.

ფერეიდნული დიალექტური ტექსტები (პირადი არქივი).

**ფუტკარაძე, 1993:** – ფუტკარაძე შუშანა, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი, 1993.

**ქეგლ:** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php> დამოწმება: 14.10.2023.

**ღლონტი, 1984:** – ღლონტი ალექსანდრე, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, გამომც. „განათლება“, თბილისი, 1984.

**ქღვ:** – ქართული დიალექტური კორპუსი. <http://corpora.co/#/corpus>. 22.10.2023.

ქობალია, 2010: – ქობალია ალიო, მეგრული ლექსიკონი, გამომც. „არტანუჯი“, თბილისი, 2010.

**ჩიქობავა, 2010 (1927):** – ჩიქობავა არნოლდ, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, შრომები, 1, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2010. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, №7, ტფილისი. 1927.

**ჭინჭარაული, 2005:** – ჭინჭარაული ალექსი, ხევსურული ლექსიკონი, გამომც. „ქართული ენა“, თბილისი, 2005.

**ჭიჭინაძე, 1990:** – ჭიჭინაძე ზაქარია, ქართველები სპარსეთში, გამომც. „მერანი“, თბილისი, 1990.

**ამიდ, 1993:** – ამიდ ჰასან: ამიდის ლექსიკონი, გამომც. ამირქაბირ, თეირანი, 1993 (1371). *فرهنگ عمید, انتشارات امیرکبیر, تهران.*

**მუნში, 1972:** – მუნში ისქანდერ, ალამ არაჰ აბას, თეირანი, 1972 *ترکمان, اسکندر (1350). بیک. عالم آرای عباسی, انتشارات امیرکبیر, تهران.*